საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლარაძე პეტრე გიორგის ძე

ლარაძე პეტრე გიორგის ძე (1770–1837), პოეტი, კალიგრაფი. განაგებდა თბილ. სამეფო წიგნსაცავს. მონაწილეობდა პოლიტ. დაჯგუფებაში. 1803–10 სპარსეთს იყო გადახვეწილი თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად. 1810-იდან ცხოვრობდა პეტერბურგში. 20-იან წლებში საქართველოში დაბრუნდა. ლ-ს ეკუთვნის ლირ. ლექსების კრებ. „მრავალფერყვავილოვანი“, პოემები: „საქართველოდს ძველი დროის თავგადასავალი, ლექსად დაწერილი“ (1897), „დილარიანი“ (1903), „სახე-მგოსანი“ და სხვ. ლ-ის პოეზიაში აისახა ყველა ის საკითხი, რ-იც აღელვებდა XVIII– XIX სს. მიჯნის ქართ. მწერლობას.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ახლად მიკვლეული ერთი ძველი ქართული პოემა: პეტრე ლარაძის „სახე-მგოსანი“, „საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1947, ტ. 14 B; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, ტფ., 1924; წ ა ქ ა ძ ე ი., პეტრე ლარაძის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან, „ლიტერატურული ძიებანი“, 2005, ტ. 26.

გ. მიქაძე